ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის საქართველოში, საპატიო თბილისელის, რიჩარდ ნორლანდის მოღვაწეობა 2012-2015 წლებში

მარინე ჩანგიანი

ამერიკისმცოდნეობის პროგრამის დოქტორანტი

ნაშრომში განხილულია ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის საქართველოში, რიჩარდ ნორლანდის მოღვაწეობა 2012-2015 წლებში. ამავდროულად, ქრონოლოგიურად მოცემულია ინფორმაცია საქართველოში იმ პერიოდში მთავარი პოლიტიკური და სოციალური მოვლენების თაობაზე. მოგეხსენებათ, რომ რიჩარდ ნორლანდი ჩამოვიდა საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდში და აქტიურად ჩაერთო საარჩევნო პროცესებში. ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი მისი დიპლომატიური გამოსვლები და მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში ყოველწლიურად მრავალი პროექტი ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით. 2013 წლის 12 მარტს მორიგი პროექტის – „საქართველოს ეტლების წარმოების ქსელი“ – პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა ბატონი რიჩარდ ნორლანდი. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო ადგილობრივი წარმოების მსუბუქი ელექტროეტლი და ეტლით მოსარგებლეთა ჯდომის კორექციის საშუალებები. რიჩარდ ნორლანდმა მხარდაჭერა გამოუცხადა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მათ გმირები უწოდა, რომლებსაც უწევთ გადაადგილება არაადაპტირებულ გარემოში.

ბატონმა ნორლანდმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში პოზიტიურად შეაფასა ბიზნესის განვითარება საქართველოში და მიესალმა ამერიკული ბრენდების შემოტანას ქვეყანაში. სწორედ 2015 წელს, პირველად საქართველოში, თბილისში პირველი „დანკინ დონატსის“ რესტორანი გაიხსნა.

რიჩარდ ნორლანდის საქართველოში მოღვაწეობის დროს ის აქტიურად თანამშრომლობდა მედიასთან, რაც კარგად ჩანს მის მიერ მიცემული ინტერვიუების სიმრავლით. ის ხშირად აღფთოვანებით საუბრობს ქართველებზე, ქართულ ენასა და კულტურაზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რიჩარდ ნორლანდს თავიდანვე პოზიტიური დამოკიდებულება ჰქონდა ოპიზიციის ლიდერებთან. მისი ახლო ურთიერთობა ბიძინა ივანიშვილთან კრიტიკის საგანიც გახდა. 2014 წელს მაშინდელმა თბილისის მერმა, დავით ნარმანიამ, რიჩარდ ნორლანდი თბილისის საპატიო მოქალაქედ დაასახელა მისი ღვაწლისთვის. ელჩი ბევრი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ცვლილებების, რეფორმების და მოვლენების მონაწილე და

მოწმე გახდა. სწორედ 2014 წელს საქართველომ გააფორმა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რაშიც დიდი წვლილი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეიტანა რეფორმების დაფინანსებითა და მხარდაჭერით. რიჩარდ ნორლანდის თბილი, ემოციური დამოკიდებულება საქართველოსადმი ნათლად ჩანს მის კომენტარში, რომელიც ელჩმა საქართველოს დატოვების წინ დაწერა.

ვფიქრობ, რომ რიჩარდ ნორლანდის დიპლომატიური მოღვაწეობის განხილვა და ანალიზი ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიაში ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანია.

1979 წლიდან საქართველოში თბილისობის დღესასწაულზე საპატიო თბილისელის წოდება, ტრადიციულად, სხვადასხვა დარგში გამოჩენილ მოღვაწეებს ენიჭებათ. 2014 წელს თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ჯილდო ათ საპატიო თბილისელს საკრებულოს შენობაში გადასცა. მათ შორის იყვნენ: მეტროსადგურების პროექტების ავტორი – ლამარა აბაშმაძე, ლოტბარი – ანზორ ერქომაიშვილი, მსახიობი – კახი კავსაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში – რიჩარდ ნორლანდი და სხვ. რიჩარდ ნორლანდმა ეს ჯილდო მისი საქართველოში მოღვაწეობის მესამე წელს მიიღო. იგი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში და მისი საქმიანობის ოთხი წლის განმავლობაში მან მონაწილეობა მიიღო ქვეყნისთვის მნიშვნელოვან მრავალ პროექტში და ბევრჯერ დააფიქსირა ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა და სტრატეგიული პარტნიორობა საქართველოსთან.

2012 წელი საქართველოსთვის იყო დიდი ცვლილებების და გამოწვევების წელი. სწორედ 2012 წელს საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში ახალი ძალა მოვიდა „ქართული ოცნების“ სახით და ჩაანაცვლა მაშინდელი მმართველი პარტია „ნაციონალური მოძრაობა.“ ამგვარად, ამერიკის შეერთებული შტატების რიგით მეშვიდე ელჩს მოუწია ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადების პერიოდში ჩამოსვლა. შესაბამისად, მისი როლი ქვეყანაში არჩევნების მიმდინარეობისას მეტად მნიშვნელოვანი იყო.

რიჩარდ ნორლანდი ელჩის მოვალეობის შესრულებამდე აფიქსირებდა თავის პოზიციას საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. იგი ხშირად საუბრობდა, რომ იღებდა ინფორმაციას ოპოზიციური კანდიდატების შევიწროების შესახებ, რაც მის შეშფოთებას იწვევდა. შესაბამისად, ოპოზიცია მის მიმართ დადებითად განეწყო, როცა რიჩარდ ნორლანდი ჯერ მხოლოდ ელჩობის კანდიდატი იყო, ის პოლიტიკურ პროცესებში უფრო ღრმად მონაწილეობის მიღების სურვილს გამოხატავდა, რათა თავისი წვლილი შეეტანა საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაში. რიჩარდ ნორლანდმა საქა-

რთველო პირადად მის ელჩად დანიშვნის ცხრამეტი წლით ადრე გაიცნო, როცა ის საქართველოში ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებზე მუშაობდა.

2012 წლის არჩევნები ოპოზიციური პარტიის გამარჯვებით დასრულდა. რიჩარდ ნორლანდი, უკვე როგორც შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ასეთ შეფასებას აძლევს: „2012 წლის ოქტომბერი ალბათ საქართველოს ისტორიაში დრამატული და მნიშვნელოვანი გარდაქმნების მომენტად აღინიშნება, რადგან ჩატარდა კონკურენტული არჩევნები, იქმნება ახალი მთავრობა, რომელიც უფლებამოსილებას მალე აიღებს. პრეზიდენტმა სააკაშვილმა აჩვენა სამოქალაქო და სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე. დარწმუნებული ვარ, რომ ძალაუფლების გადაცემის პროცესი პროფესიულად გაგრძელდება“ (ნორლანდი, 2012). როგორც ვარაუდობდნენ ქართველი ექსპერტები, ახალი ელჩი აქტიურად ჩაერთო ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებში. მისი შემდგომი ნაბიჯები გვიჩვენებს მის დიდ დაინტერესებას დემოკრატიის განვითარებაში საქართველოში.

2013 წელს რიჩარდ ნორლანდი საქართველოს პარლამენტს ეწვია. მან პარლამენტის წევრების შეკითხვებს უპასუხა, რომელიც ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებს, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ თემებს ეხებოდა. შეხვედრაზე ელჩმა მადლობა გადაუხადა საქართველოს და იმ სამხედროებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ავღანეთის ოპერაციებში ამერიკელ სამხედროებთან ერთად. „მინდა, მადლიერება გამოვხატო საქართველოსადმი იმის გამო, რომ აშშ-თან თანამშრომლობა ასეთი მჭიდროა. განსაკუთრებით კი, საქართველოს წვლილისთვის ავღანეთში, სადაც ქართველი სამხედროები თავიანთ სამსახურს აგრძელებენ. მათ შორის არის მსხვერპლი, არიან დაჭრილებიც. მინდა გამოვხატო ჩემი თანაგრძნობა იმ ჯარისკაცებისა და ოფიცრების ოჯახებისადმი, ვინც ავღანეთში ოჯახის წევრები დაკარგეს“ (ნორლანდი, 2013). მის სიტყვებში ნათლად ჩანს ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულება და პარტნიორობის მაღალი მაჩვენებელი, რაც ორმხრივ ურთიერთობაში მკაფიოდ გამოიხატება.

რიჩარდ ნორლანდის აქტიური მოღვაწეობა მხოლოდ პოლიტიკურ საკითხებში ჩართულობით არ შემოიფარგლა. მისი ელჩობის დროს ბევრი სოციალური პროექტი განხორციელდა, რომლის პრეზენტაციებს პირადად ესწრებოდა და სიტყვით გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნავდა ქართულ-ამერიკულ მეგობრულ და სტრატეგიულ პარტნიორობას. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში ყოველწლიურად მრავალი პროექტი ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების

სააგენტოს მხარდაჭერით (USAID). 2013 წლის 12 მარტს მორიგი პროექტის – „საქართველოს ეტლების წარმოების ქსელი“ – პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა ბატონი რიჩარდ ნორლანდი, საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების მინისტრის მოადგილე დავით ლომიძე და სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. აღნიშნული პრეზენტაცია კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ და ნეიროგანვითარების ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო ადგილობრივი წარმოების მსუბუქი ელექტროეტლი და ეტლით მოსარგებლეთა ჯდომის კორექციის საშუალებები. რიჩარდ ნორლანდმა მხარდაჭერა გამოუცხადა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მათ გმირები უწოდა, რომლებსაც უწევთ გადაადგილება არაადაპტირებულ გარემოში. მან თქვა, რომ USAID-ის მიერ მხარდაჭერილი კიდევ ერთი პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადვოკატირება“ მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების გაძლიერებას და ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის შემუშავების პროცესში შშმ პირთა ჩართულობის გაზრდას. რიჩარდ ნორლანდმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მომავალშიც გააგრძელებს შშმ პირების დახმარებას და პროექტების დაფინანსებას, რითაც ხელს შეუწყობს მათ უკეთ ინტეგრაციას საზოგადოებაში.

ბატონმა ნორლანდმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში პოზიტიურად შეაფასა ბიზნესის განვითარება საქართველოში და მიესალმა ამერიკული ბრენდების შემოტანას ქვეყანაში. სწორედ 2015 წელს, პირველად საქართველოში, თბილისში პირველი „დანკინ დონატსის“ რესტორანი გაიხსნა. „დანკინ დონატსი“ ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული, ლეგენდარული ბრენდია, რომელიც უკვე თითქმის 65 წელია წარმატების ისტორიას ქმნის მთელს მსოფლიოში. რიჩარდ ნორლანდმა ბევრჯერ აღნიშნა, რომ საქართველოში საინვესტიციო გარემო გაუმჯობესდა და ამის არაერთი მაგალითი მოიყვანა და სიამაყით ისაუბრა ამერიკული ბრენდების გამოჩენაზე საქართველოს ბაზარზე.

ცნობილი ადამიანის მოღვაწეობა ზოგჯერ ნეგატიური მოვლენის გარეშე არ ჩაივლის. რიჩარდ ნორლანდის ერთ-ერთმა განცხადებამ კრიტიკა გამოიწვია. „20 წლის წინ საქართველოში ვიმყოფებოდი ეუთო-ს წინამორბედი ორგანიზაციის ეგიდით, თქვენი დინამიკა მაშინ მაგონებდა ისეთ ვითარებას, რომ ქართველები ეპყრობოდნენ ეთნიკურ უმცირესობებს დაახლოებით ისე, როგორც რუსები ეპყრობოდნენ მანამდე თავად ქართველებს. აფხაზებს და ოსებს ჰქონდათ იმის საფუძველი, რომ თავი ეგრძნოთ უმცირესობად

საქართველოში. იმ პროცესში, როდესაც საქართველო ცდილობს, მიმზიდველი გახადოს თავისი თავი ამ რეგიონებისთვის ეკონომიკურად და პოლიტიკურად, ალბათ, მოუწევს ისიც, რომ მოახდინოს გადაფასება, აღიაროს და მოიხადოს ბოდიში წარსულის შეცდომებისთვის...“ (ნორლანდი, 2013).

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟმა, კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიამ, ელჩისგან განმარტება მოითხოვა. მისი განცხადებით, თუ ელჩი არ დააზუსტებს მის გამონათქვამს, ის დიდ გაუგებრობას ვერ ასცდება. მისი თქმით, საქართველო, როგორც სახელმწიფო, ოცდაორი წელია არსებობს, შესაბამისად, ის სუვერენულ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებდა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიც“ საქართველოს სსრ-ის ფარგლებშია შექნილი, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ეს ტერიტორიები არასოდეს დაუპყრიათ. გამსახურდიამ აგრეთვე თქვა, რომ მისთვის გაურკვეველია თავად „ქართველებს“ თუ უნდა მოუხადოს ვინმემ ბოდიში ამდენი დევნილის და ლტოლვილის გამო ხსენებული კონფლიქტის ზონებიდან. მან აგრეთვე რამდენიმე კითხვით მიმართა ელჩს, თუ კონკრეტულად რომელმა ქართველებმა რომელ აფხაზებს და ოსებს უნდა მოუხადონ ბოდიში? ანუ ეს სახალხო დიპლომატიის კოლექტიური ბოდიში იქნება თუ სამთავრობო დონეზე უნდა განხორციელდეს? (გამსახურდია, 2013).

მოგვიანებით, ელჩმა, კიდევ ერთხელ, ნეგატიური შეფასება და კრიტიკა საზოგადოების ნაწილისგან და ოპოზიციის ლიდერებისგან მიიღო მისი მეტისმეტად მჭიდრო ურთიერთობის გამო ბიძინა ივანიშვილთან. რიჩარდ ნორლანდმა მის ერთ-ერთ ინტერვიუში ისაუბრა მის ურთიერთობაზე ბიძინა ივანიშვილთან, როცა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრი იყო და იმ პერიოდზე, როცა ის პოლიტიკიდან წავიდა. აქვე უნდა გავიხსენოთ მათი ურთიერთობა საწყის ეტაპზე. ყველას კარგად ახსოვს, რომ ელჩი ივანიშვილის ხშირი სტუმარი იყო. მათ მჭიდრო ურთიერთობაზე ეგრევე ოპოზიცია ალაპარაკდა. გავრცელდა ანეკდოტი „ჩუსტებზე“, რომელიც ასეთი შინაარსის იყო: ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი დილით საკუთარ სახლში იღვიძებს და უშედეგო ძებნის შემდეგ ეკითხება ცოლს, ჩემი ჩუსტები სად ჯანდაბაშიაო? მეუღლე კი პასუხობს – ალბათ, ბიძინასთან დაგრჩაო“. აღსანიშნავია, რომ მისი ელჩად დანიშვნის პროცედურები ჯერ დასრულებული არ იყო, რომ მან უკვე ამერიკის შეერთებული შტატებიდან გააკეთა სააკაშვილის ხელისუფლების მაკრიტიკებელი განხცადებები, რაც არ შეეფერებოდა დიპლომატს. ბუნებრივია, ნორლანდის საქციელი შემთხვევითი არ იყო – მან ვაშინგტონის განწყობა კარგად იცოდა და, როგორც ჩანს, ეს განცხადებები ან შეათანხ-

მა, ან, საერთოდ, დავალებით გააკეთა. საქართველოში ჩამოსვლისთანავე კი ჯერ კიდევ ოპოზიციაში მყოფ ბიძინასთან რიჩარდ ნორლანდმა, შეიძლება ითქვას, პირდაპირ ჩუსტებში მიაჭრა. ნორლანდი ოფიციალურ ხელისუფლებასთან მინიმალური კონტაქტებით შემოიფარგლა, ხოლო იმაზე კი, რომ ის და ბიძინა ერთმანეთს თითქმის არ შორდებოდნენ, მალე მთელი თბილისი ალაპარაკდა.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამაში ჩართული ქვეყნებისთვის ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ. ამ დახმარების ფარგლებში 2014 წელს საქართველომ 62 000 000 ამერიკულ დოლარი მიიღო. ეს თანხა მთლიანად იყო გამოყოფილი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერისა და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების დაჩქარებითვის.

ელჩის ასეთ ჩართულობას პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებში და მის აქტიურ მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში უშედეგოდ არ ჩაუვლია და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2014 წელს მან საპატიო თბილისელის წოდებაც მიიღო. უკვე საპატიო მოქალაქის რანგში რიჩარდ ნორლანდმა თავისი აზრი დააფიქსირა ქალთა ჩართულობაზე პოლიტიკაში. როგორც მან აღნიშნა, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ ხელი შეუწყო აღნიშნული კონფერენციის გამართვას. მისი თქმით, ღონისძიება მიმართული იყო იმისკენ, რომ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობა უფრო მეტად იყოს უზრუნველყოფილი.

2015 წელს აშშ-ის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა საქართველოში საქმიანობა დაასრულა. ამერიკაში გამგზავრებამდე ნორლანდი მეუღლესთან ერთად ხევსურეთში იმყოფებოდა. შთაბეჭდილებების შესახებ დიპლომატმა ფეისბუქის გვერდზე მცირე წერილი გამოაქვეყნა სათაურით – „დაუვიწყარი საქართველო“, სადაც დეტალურად აღწერა საქართველოს სილამაზე, ქართველების სტუმარმასპინძლობა არაბულის საოჯახო სასტუმროში, საოცრად ჰარმონიული ხალხური სიმღერები დები გოგოჭურების შესრულებით, შატილის კომპლექსის ერთ-ერთ უძველეს კოშკში გათენებული ღამე და აქვე მწუხარება გამოხატა, რომ ვერ ესტუმრა სოფელს, სადაც ახლა, რუსეთის საზღვარზე გამკაცრებული წესების გამო, მოხვედრა შეუძლებელია. „ეს მთიანი მხარე უხსოვარი დროიდან ბუნებრივი სილამაზითა და მკაცრი გარემოთი გამოირჩევა. რამდენი რამაა აქ შესასწავლი და დასაფასებელი. მადლობა მამა გიორგისა და მის შესანიშნავ გუნდს ხევსურეთში სტუმრობის ორგანიზებისათვის“ (ნორლანდი, 2015). ასეთი დადებითი ემოციებით საპატიო თბილისელი ამერიკის შეერთებულ შტატებში ოჯახთან ერთად დაბრუნდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნოზაძე მ., მძიმე არჩევნებისთვის განწირული რიჩარდ ნორლანდი, FOR. GE, 2012, https://for.ge/view/15218/mZime-arCevnebisTvis-ganwiruli-riCard-norlandi.html
2. ნორლანდი რ., სანამ ცოცხალი ვარ, ყოველთვის მემახსოვრება ეს დღე, info 9, 2014, http://www.info9.ge/sazogadoeba/97265-.html?lang=ka-GE&year=2017&month=10;
3. ნორლანდი რ., პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა სრული ჩართულობა მნიშვნელოვანია, info 9, 2015, http://www.info9.ge/politika/111542-norlandi-politikur-ckhovrebashi-qaltha-sruli-charthuloba-mnishvnelovania.html?lang=-ka-GE.
4. ნორლანდი რ., გამგზავრების წინ მეღირსა და ხევსურეთში სტუმრობის პატივი მერგო, GHN, 2015, http://ghn.ge/com/news/view/134715
5. წულაძე ზ., კონგრესის წევრთა ვიზიტი თბილისში, VOA, 2014, https://www.amerikiskhma.com/a/georgia-usa-lawmakers-visit-in-tbilisi/1833527.html
6. ვიზალიბერალიზაციის მეორე ფაზის წარმატება უკვე მიღებული კანონების აღსრულებაზეა დამოკიდებული, 2014, Europe for Georgia, http://eugeorgia.info/ka/article/170/vizaliberalizaciis-meore-fazis-warmateba-ukve-migebuli-kanonebis-agsrulebazea-damokidebuli
7. აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი აცხადებს, რომ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს „ძლიერი გამოსვლა“ ჰქონდა გაეროში, ნეტგაზეთი, 2013, http://netgazeti.ge/news/25723/
8. Villarreal Elizabeth – Interview with Richard Norland, U.S. Ambassador to Georgia, The Politic, 2013, http://thepolitic.org/interview-with-richard-norland-u-s-ambassador-to-georgia/
9. Obama proposes Norland as new U.S. Ambassador to Georgia, DFWatch staff, Democracy & Freedom Watch, 2012, https://dfwatch.net/obama-proposes-norland-as-new-u-s-ambassador-to-georgia-38074-5720
10. Embassy Fact Sheets, U.S. Embassy in Georgia, https://ge.usembassy.gov/our-relationship/policy-history/embassy-fact-sheets/
11. Farewell meeting with Richard Norland, 2015 Government of Georgia, Prime Minister's Press Office, http://gov.ge/print.php?gg=1&sec–id=412&info–id=50277&lang–id=ENG

Activities of the Ambassador of the United States to Georgia, Richard Norland in 2012-2015

Marine Changiani

Phd student of American Studies

Abstract

The topic of this work is discussion and description of activities of United States Ambassador to Georgia Richard Norland in 2012-2015. There is also chronological information about main political and social situation in Georgia of that period. As you know, Richard Norland arrived in Georgia in pre-election period and got actively involved in the elections. In this work his diplomatic activities and participation in various projects are described in details. One of those projects was supported by USAID in 2013 "Georgian wheelchairs production network". During the presentation of this project, where wheelchairs made in Georgia were exhibited, Richard Norland expressed his support to disabled people in Georgia who had to move in non-adapted environment.

In one of his speeches, Richard Norland evaluated positively the development of business in our country and opening American brands in Georgia. In 2015 the first "Dunkin donuts" restaurant was opened in Tbilisi. Ambassador Richard Norland had a very good relation with Media that was obvious from plenty of his interviews. He often mentioned Georgians, Georgian language and Georgian culture with great admiration.

In fact, Richard Norland had a positive relation with leaders of opposition from the beginning, even his close relation with Bidzina Ivanishvili caused critics. In 2014 former Tbilisi Mayor Davit Narmania gave Richard Norland status of Honorable citizen of Tbilisi for his activities in Georgia. In 2015 Georgia signed association agreement with European Union supported by United States of America that helped Georgia financially to fulfil all necessary reforms. Richard Norland's warm attitude and love to Georgia and Georgian people is obvious and can be read in his comment written before his departure.

In my opinion discussion and analyze of Richard Norland diplomatic activities as United States Ambassador to Georgia is very significant for Georgian-American relations.